№ 143 ივლისი 14, სამშაბათი 1887 ივლისი 14, სამშაბათი № 143

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ხუთშაბათს, 14 ივლისს, კ-ნა ნინო ალექსანდრეს ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის გარდაცვალების მეშვიდე დღეს, სიონის სობოროში, დილის 10 საათზედ, გადახდილ იქნება პარაკლისი და პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენიებლად. (1—1)

შინაარსი: ტფილისი, 13 ივლისი. — ახალი ამბავი. — ცალკე წერილები: ქართულ-სომხური წარმოდგენა. — ნარკვევი. — უცხოეთი. — წვრილი ამბები. — გასართობი. — დეპეშა. — საკალენდარო ცნობანი. — საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ელენეს დღიური (ნათარგმნი მოთხრობა), ორ—ნისა.

ტფილისი, 13 ივლისი

ავტორი იმ ორის მეთაურისა, რომელიც „Крестьянскій Банкъ"-ის სათაურით არის სახელ-წოდებული „Новое Обозрѣніе"-ში, პირველს წერილში იმ საკითხავზედ შესდგა და დაგვპირდა, რომ მეორე წერილში გვაცოდინებს, — რა გზით და რა ღონით უნდა გაემაგროს გლეხ-კაცობას ხელი გასასყიდ მამულების სასყიდავად. ვიდრე ამ გზას და ამ ღონეს შევიტყობდეთ ავტორისაგან, მეტი არ იქნება ვიკითხოთ: რისთვის დაუნახავს ავტორს საჭიროდ, რომ გლეხ-კაცობა შეეჭიდო'ს მამულების სყიდვასა?

ჩვენა ვსთქვით, რომ ქონება ერთობ და ადგილ-მამული ცალკე თვისის ეკონომიურ ბუნებისამებრ უქმს ხელს ეცლება და საქმიან ხელისაკენ მიიზიდება. პატრონობა, მფლობელობა მიწისა, როგორც პატრონობა და მფლობელობა ყოველ-გვარის ქონებისა, ამ კანონის ძალით, დაიძვრის თუ არა, დადის, დადის, ათას პატრონს, ათას მფლობელს იცვლის და როცა საქმიან ხელს იპოვის, მივა და იქ გაჩერდება ხოლმე, ვიდრე უქმობა ხელისა ხელ-ახლად საძებნელად არ გაუჩხდას საქმიან ხელსა.

ამ მოუდრეკელს რკინის კანონს ვერა-რა და ვერავინ წინ ვერ გადუდგება, ვერ მოჰხრის, ვერ დაიქვემდებარებს. ეს ისეთივე უძლეველი, უცვალებელი კანონია, როგორც ყოველი კანონი ბუნებისა. მამასადამე, რაკი მამული თავის პატრონს მიურბის და ეცლება ხელიდამ, ეს სრბოლა ისე უნდა მოჰმართოს კაცმა, რომ მამული რაც შესაძლოა მალე ჩაუვარდეს საქმიან ხელსა და ტყუილ-უბრალო წანწალში ერს არ დაეკარგოს იგი სიმდიდრე, რის შემძლებელიც მამული არის საქმიან ხელში. ჭეშმარიტი თვალი საპოლიტიკო ეკონომიისა სხვაფრივ ამ საქმეს ჩხრეკას არ დაუწყებს, იმიტომ-რომ საპოლიტიკო ეკონომიას საყოველთაო კეთილ-დღეობა აქვს სახეში და არა ცალკე კაცის, ან თუნდა ერთის რომელისამე წოდების მეტნაკლეობა. ეს რომ არ იყოს, საპოლიტიკო ეკონომია ცალკე კაცის, ანუ წოდების მსახური იქნებოდა და არა მსოფლიოდ თავის სფერაში გზის მაჩვენებელი, როგორც ყოველივე სხვა მეცნიერება.

კინც საპოლიტიკო ეკონომიის სახელით გამოდის სამოძღვრელად, იმას არ ეპატივება იძახოდეს და ჰვაობდეს: ვაი, პეტრეს ეყიდება მამული და ივანე ჰყიდულობს ჩალის ფასადაო! ეგ გლოვა და ვაი ცალკე კაცის — პეტრეს მახლობელისაგან საბუთიანია და ადვილად მოსალოდნელიცა, მაგრამ მეპოლიტიკე-ეკონომს-კი არა ჰშვენის, იმიტომ-რომ ეს უკანასკნელი ჰმოძღვრობს მარტო იმას, რაც საყოველთაო ქონებას ბარაქას ჰმატებს და ამისათვის სულ ერთია პეტრე ჰზის მამულში თუ ივანე, ოღონდ მამული საქმიან ხელში იყოს და კარი გაუღოს მთელს შეძლებას მამულის მომცემლობისას.

ავტორი გვეუბნება, რომ ამისთანა საქმიანი ხელი გლეხ-კაცის ხელიაო და ამის გამო საბუთი გვქონდა და გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტორს სწორედ ამ მიზეზით უნდა გასასყიდს მამულებზედ გლეხ-კაცობას მიაწვდენინოს ხელი. ეს ხომ ესეა, მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ავტორმა დაგვწამოს: მაგ აზრს მე ტყუილად მახვევთ თავზედაო, — და საბუთიცა აქვს ეგ გვითხრას, იმიტომ-რომ ესეთი აზრი ჩვენ გამოვნასკვეთ ლოღიკურად იმის სიტყვიერებისაგან და თვითონ-კი სულ სხვას ამბობს იმავე წერილში. გვიმტკიცებს რა მას, რომ გასასყიდად გამოცხადებული მამულები ჩალის ფასად ძლივს იყიდებაო, იგი ამბობს: «ან უნდა მოჯობინებულ იქმნას ეკონომიური ყოფა-ცხოვრება გასასყიდელის მამულების პატრონებისა, ან მოწვეულ და მოზიდულ იქმნას სავაჭროდ იმოდენად დიდ-ძალი მსყიდველი, რომ ვაჭრობამ კეთილი ნაყოფი (благопріятный результатъ) მოიტანოს, ესე იგი, გასასყიდის მამულების ფასი იქამდე აწეულ იქმნას, რომ რამდენადმე შეეფერებოდეს ნამდვილს ღირებულობასაო»*).

მამულთ-პატრონების ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების მოჯობინება შეუძლებელია ორ-სამ წელიწადშიო, ამბობს შემდეგ ავტორი: „მამასადამე, დაგვრჩა მივმართოთ მეორე ღონესა, სახელდობრ იმას, რომ რაც შეიძლება ბევრი მსყიდველი მოვიზიდოთ ვაჭრობაშიო".*)

ვინ არიან ის ბევრნი? გლეხ-კაცებიო, გვიპასუხებს ავტორი.

რა გამოდის აქედამ? ის გამოდის რომ გლეხები თურმე იმისათვის უნდა მოვიზიდოთ ვაჭრობაში, რომ მამულის პატრონს მამული დიდ-ფასად გაეყიდოს. რა ხეირში უნდა ჩაცვივდნენ ამით გლეხები, რომელთაც იმისათვის ვიზიდავთ, რომ მამულის პატრონებს ფასი გაუდიდონ? აი რა ხეირშიაო, გვეუბნება ავტორი: „მიწა, როცა თვითონ შიგ მუშაობს კაცი, სამს, ოთხს ბევრი-ბევრი ხუთს სარგებელზედ მეტს, ორთა-შუა რიცხვით, არ იძლევაო. ეს ძალიან და ძალიან ცოტაა თავად-აზნაურთა, ვაჭართა და მოხელეთათვისაო, რომელნიც უფრო მეტს სასყიდელსა ჰმოულობენ თავისის შრომისათვის", და სხვანი. „ხოლო ეს ცოტი სარგებელი მთლად საკმარისია გლეხკაცობისათვისაო".

ავტორს უკვირს და ჰკითხავს თავის თავს: „რაკი ესრეა, მაშ რატომ არ მოდის და მონაწილეობას არ

*) „Новое Обозрѣніе" № 1219.

*) იქვე.

## ფელეტონი

### ელენეს დღიური

(დასასრული*)

კვირა, 4 ივლისი.

ხელ-ახლად გადავფურცლე ეს დღიური და მინდა დავაბოლოვო ერთის **სხვა კაცის** ხათრით. ორი კვირაა შიგ არ ჩამიხედნია. ვსთქვი, მოვისვენებ-მეთქი, მაგრამ **სხვა კაცი** მთხოვს, ნულარ გადასდებ სახვალიოდ, განაგრძეო და იმის სურვილი-კი ჩემთვის დაურღვეველი კანონია.

როცა მოვიგონებ ხოლმე, თუ რა გულით დავიწყე ამ დღიურის წერა და რა გულით ვათავებ, მიკვირს და ჩემს თავს ვეკითხები: ნუ თუ მე, მე, რომელიც ამ უკანასკნელს ფურცლებს ვუზივარ ეხლა, მე ის ელენე ჯირალდა ვარ, რომელმაც ამავე დღიურის პირველი ფურცლები დაწერა-მეთქი? და ნუ თუ ადამიანის ცხოვრება ისეთ უბრალო რამეზეა დამოკიდებული, რომ გუშინ სიკვდილი სანატრელად მიმაჩნდა და დღეს ჩემი ერთად-ერთი სურვილი და ნატვრა ის არის, რომ საუკუნოდ ვცოცხლებდე, საუკუნოდ ვსტკბებოდე ეხლანდელის ბედნიერებით...

არ მინდა ჰკუას ძალა დავატანო...

— პროფესორი დაბრუნდაო, — მითხრა ჯეჯიამ 21 ივნისს, ორშაბათს დღეს, დილა ადრიანად, როცა ყავა შემომიტანა. პირველსავე აქედ მომავალს მატარებელში ჩამჯდარიყო და მოვიდაო.

— ჰოო?... მოვიდა... რაო, როგორ არის... კარგად არის?

— კარგად არის, კარგად და ამასთან დაღლა-დაქანცვა სრულიად არ ეტყობა. სულ ერთი საათი არ იყო გასული რაც დაბრუნდა, და უეცრივ, — ჩვენ არც-კი მოველოდდით, — სამზარეულოში შემოიხედა, ქალბატონი გაიხმო და დიდხანს რაღასაც ელაპარაკებოდა. ეხლა-კი სასტუმრო ოთახშია და ელის.

— ელის?.. რას ელის და ან ვისა?

ხელებმა ცახცახი დამიწყო. ჯეჯიამ ყაველანი გამომართვა.

— მგონი, თქვენ გელით.

— მე რად მელის, რა უნდა?

მინდოდა თავი დამშვიდებულად მეჩვენებინა და აღელვება არ შემემჩნევინებინა.

— აი, ეგ-კი არ ვიცი. ვერ გავიგე, რაზედ ელაპარაკებოდა ქალბატონს; მხოლოდ პროფესორის უკანასკნელს სიტყვებს მოვკარ ყური: „ადგება თუ არა, მე თვითონ ვნახამო". უეჭველია ამ სიტყვებს თქვენზედ იტყოდა, მაშ ვიღაზედ უნდა ეთქვა, თუ არა თქვენზედ?

ჯეჯია გავისტუმრე და დაფეთიანებული წამოვხტი ლოგინიდგან. მინდოდა რაც შეიძლებოდა ჩქარა ჩამეცვა და გავსულიყავ, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაო იყო, ნახევარი საათი მოვანდომე ჩაცმა-დახურვასა. არ ვიცი რადა? იმიტომ თუ, რომ ვჩქარობდი და ვერაფერი ვერ მომდიოდა ხერხიანად. ერთსა და იმავე რამეს სამჯერ წავაავლებდი ხოლმე ხელს, ღუგმები შეუკვრელი მრჩებოდა, თმები ვერ ამეკრიბა, თვალებში მეჩაჩებოდა და ამის გამო რამდენიმე წუთი სარკის წინ დგომასა და ყურებას მოვუნდი.

მოვემზადე და ახლა ვერ გადამეწყვიტა, გავიდე სასტუმრო ოთახში, თუ არა-მეთქი. ვერდანის ნახვაც მინდოდა და არც ისა მსურდა მეჩვენებინა, რომ აი შენთან მოსვლასა და შენს ნახვას ვჩქარობდი-მეთქი. ამასობაში გული არ მიძლებდა ჩემს ოთახში მარტოდ-მარტოს და ჩაცმულ-დახურულს. ავდექი, ჩავიცვი, წამოსასხამი წამოვისხი და ვიფიქრე: წავალ, ვივაჭრებ რასმე-მეთქი და თუ სინიორა ჩელესტა შემხვდა, ოდნავ თავს დავუკრავ ჩვეულებრივადა-მეთქი. ან არა და, იქნება ჯეჯიამ ტყუილი მოიგონა, შესცდა, ასე მოეჩვენა; იქნება, ვერდანს ჩემი ლოდინი ფიქრადაც არ მოსვლია-მეთქი.

ჯეჯია არა სტყუოდა: ვერდანი მართლაც რომ მელოდებოდა; მელოდებოდა-კი არა, მითვალყურებდა კიდეც: გაიგო თუ არა ჩემის ფეხის ხმა, წინ გამომეგება და ორივ ხელები ჩამომართვა.

— მე მინდოდა...

თითქოს შეკრთაო, გაჩუმდა და თმებზედ შემომხედა.

— მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა... მომელაპარაკნა თქვენთან... მაგრამ თქვენ იქნება სადმე მიეჩქარებით? — და პასუხი რომ დავუგვიანე, დაუმატა: — მეც წასასვლელი ვარ...

— თუ აგრეა... ძლივს ამოვიღე ხმა.

ვერდანიმ შემიყვანა პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც სინიორა ჩელესტა მთელის დღეობით წინდებსა ჰქსოვდა და გაზეთსა კითხულობდა ხოლმე და სადაც მეც ხშირად შევდიოდი სამუშაოდ, ან რისამე წასაკითხავად. ოთახში არავინ იყო, მარტო ჩვენ ვიყავით ორნი — პროფესორი და მე.

ვერდანიმ მთხოვა, დაბრძანდითო და თვითონ-კი ოთახში წინ-და-უკან დადიოდა, სწორედ ისე, როგორც იმ ღამეს, როცა მე დავინახე კედლის სინათლეზედ. ბოლოს შედგა, ხელი დააბჯინა სკამის ზურგსა და უეცრივ მკითხა:

— როდის აპირობთ წასვლას, სინიორინა ელენე?

— როდის ვაპირობ?.. ხომ იცით, ხუთშაბათს დილაზე არა უგვიანესს. პარასკევს უნდა გემზე ვიყვე.

— მაშ უეჭველად, უეჭველად ამ კვირია უნდა წახვიდეთ რაღა?

— ძმა ასე მწერდა, რომ ან 18-ში და 25-ში წამოდი მანდედგანაო... 18-ს არ წაველი, მაშასადამე...

— არ შეიძლება სხვა დროისათვის გადასდვათ, ძმასა სთხოვოთ, რომ ცოტა კიდევ დაგაცადოთ...

— რადა?... ყველაფერი მზადა მაქვს, არაფერი მაბრკოლებს-რა, ყველას გამოვეთხოვე და გამოვემშვიდობე კიდეც... არა, არა...

— მაშ ძალიან გულით გინდათ ჩვენგან წასვლა, ჩვენი დატოვება! — მითხრა ცხარედ პროფესორმა და აღელდა.

— ოხ! — წამოვიძახე და ყელში რაღაცამ ხრიალი დამაწყებინა, — ტყუილად მასაყვედურებთ? განა გასასეირნებლადა და დროს გასატარებლად ვაპირობ ისე შორს წასვლას?... იქნება, კარგად არ მოვისაზრე და ჩქარა გადავსწყვიტე ძმასთან წასვლა, შეიძლება, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა... წარმოიდგინეთ, ულონო, სუსტი ქალი... თვალ-წინ სილარიბე მიდგა, სხვისათვის უნდა გამეშვირა ხელი... მეტი რა გზა მქონდა, რომ პირველსავე შველისა და ხსნის გზას არ დავსდგომოდი... და ეხლა-კი...

— მაშ ველარაფერი, ველარაფერი ველარ შეგაყენებთ? — არ დამასრულებინა სიტყვა ვერდანიმ.

ავღელვდი და მინდოდა ხუმრობით დამემალა ჩემი აღელვება.

— რატომ, თუ ლატარიაში მოვიგებ ფულს, ან უეცრად გავმდიდრდები როგორმე.

სახე მოეღრუბლა.

— სხვა ველარაფერი!

ღმერთო, ღმერთო! რა არის ეს ზრდილობა, თავაზიანობა, რომელიც კაცს ნებას არ აძლევს თავის გულის

*) იხ. „ივერია" №№ 132, 133, 134, 135, 137, 138, 139 და 141.

იღებს გლეხ-კაცობა ვაჭრობაშიო“? ამის პასუხს დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, თუ მართლა მიწა, მამული ბევრი-ბევრი ხუთს სარგებელზედ მეტს არ იძლევა. ასს მანათს ხუთ მანათად წელიწადში მთელს რუსეთის იმპერიაში ვერ იშოვის ვერც გლეხი და ვერც თავადი და თუ იშოვის, მამულის სასყიდლად გაბრიყვებული გლეხი მოვალის მუქთა მუშად უნდა გახდეს მთელი თავისი სიცოცხლე, იმიტომ-რომ მამული ხუთზედ მეტს არ იძლევა და ფული-კი ხუთზედაც მეტად ძლივ ძლიობით იშოვება.

თუ მართლა მამული ამის მეტის შემძლებელი არ არის, გლეხ-კაცი მეტად ჭკვიანად იქცევა, რომ სასყიდლად ახლოც არ ეკარება.

---

# ახალი ამბავი

*** სხვილ-სხვილ ქურდობასთან ერთად ტფილისში მრავლდება და მატულობს წვრილ-წვრილი ქურდ-ბაცაცობა და მტაცობლობა. ოთახებიდამ გინდათ თუ ეზოებიდამ, გააქვთ, რაც-კი ხელთ მოჰხვდებათ. ეხლა ეს წვრილმანი ყაჩაღები იმასაც-კი ახერხებენ, რომ ქუჩაში მიმავალ ქალებს უცებ აჰხდიან ხოლმე შალებსა და თვალის-დახამხამებაზე გაჰქრებიან მოტაცებულის ნივთით. იმ დღეს ერთი რაჭველი მტკვარში საბანაოდ შევიდა საზაფხულო თეატრის ახლო და ტანთ-საცმელი მდინარის პირს დააწყო. როცა ბანაობის ეშხში შევიდა კაცი, ამ დროს გამოჩნდა ერთი კინტუა ბიჭი, ქორივით დაეცა რაჭველის საცმელებს, მოხვეტა ერთბაშად, ამოიდო იღლიაში, დაჰკრა ფეხი და გაიქცა. მაყურებელთაგანნი, ვინც ფეხ-მარდი იყო, დაედევნა, მაგრამ ჩოხის მეტი ვერა გამოსტაცესრა. დანარჩენი ისე მაგრა ეჭირა, რომ ვერ წაართვეს. წავიდა, გაჰქრა ეს ქურდ-ბაცაცა. რაჭველმა ჩოხის ანაბარას როგორც იყო გაბედა სახლში წასვლა ქუჩა-ქუჩა.

*** უფრო დიდი ოინი დაემართა მეორე რაჭველს აზნაურ-კაცს, რომელსაც უვლია ტფილისს, ქუთაისს, კავკავს და სხვა ქალაქებში, როგორც ვაჭარი კაცი. მით უფრო საკვირველია ასეთის კაცის მოტყუილება. აი რა მოუმოქმედებიათ კინტუა ბიჭებს:

თურმე ხსენებული აზნაური გუშინწინებში მოდიოდა სოლაყზე, სახელოსნო სკოლის ახლო. წინ შემოეყარა ერთი პატარა ბიჭი, ღარიბად ჩაცმული, და ჰკითხა აზნაურს ვინაობა. რომ გაიგო, რაჭველიაო, მოჰყვა ტირილსა და ჩივილს:—მეც რაჭიდამა ვარ, ოსტატმა გამაგდო; უპატრონო, ულუკმა-პურო დავიარები და ჩემი შემწყნარებელი არავინ არისო. გულ-კეთილმა აზნაურმა უთხრა: გამომყე, ნაცნობებს გიჩვენებ, როგორმე მოგივლით, გიპატრონებთ, მანამ ადგილს იშოვნიო.

წავიდნენ. უცებ ორი კინტო გამალებული მიჰვარდა ამ ბიჭს, სტაცეს ხელი: „რა უყავ ჩვენი ფულის ქისაო?“ მერე მისცვივდნენ რაჭველ აზნაურს: „ალბად შენია ეს ბიჭი და საქურდალად გიტარებია. გვაჩვენე შენი ჯიბეო“. რაჭველმა შეჰფიცა ღმერთი-რჯული, მაგრამ მაინც გადმოუბრუნეს ჯიბე-უბე. „აბა, შენი ქისა გვაჩვენე, ის ხომ არ არისო, ამ ბიჭმა რომ მოგვპარაო.“ რაჭველმა მიაწოდა თავისი ქისა. კინტოებმა კარგა-ლაზათიანად გასინჯეს ქისა და ცოტა ხნის უკან ისევ დაუბრუნეს. უეშმაკო რაჭველმა, გახარებულმა თვისის სიმართლით, აიღო ქისა და გაუსინჯავად ჩადო ისევ ჯიბეში. კინტოებმა-კი გაიტაცეს ეს ბიჭი ლანძღვა-გინებით და ვითომ წაიყვანეს პოლიციაში.

როდესაც კინტოები მოეფარნენ ქუჩის სახლებს, ამ დროს რაჭველს რაღაც უნდა ეყიდნა. ამოიღო ქისა და პირს-კატა ეცა — შიგ ცალი ფულიც აღარ იყო.

თურმე ეს ამბავი განზრახ მოეგონათ კინტოებს, ბიჭიც მოფიქრებით მიეგზავნათ აზნაურთანა და ქისის და კარგაც ტყუილი ყოფილიყო. როცა უსინჯავდნენ ქისას, თურმე ისეთის ოსტატობით ამოიღეს ფული, რომ რაჭველს არა თუ ვერ დაენახა, ეჭვიც არ მოჰსვლოდა. ამ რიგად, კინტოებმა ოინობით 35 მანეთი მოსტაცეს კაცსა და გაჰქრნენ. „თუ შემხვდნენ, ვიცნობო“, იძახის რაჭველი, მაგრამ რაღას შეჰხვდებიან.

*** შორაპნის მაზრიდამა გვწერენ, რომ 9 ივლისს, საღამოს 4 საათზე, ერთი კაცი, გვარად კიკნაძე, დაირჩო მდ. ყვირილაში. კიკნაძე თურმე ქვის-მზიდველი იყო ჭიათურიდამ ყვირილამდე. ამ დღეს რაღაცა ადრე ჩამოიტანა ურემი, გამოუშვა კამეჩები და გარეკა წყალზე გასაგრილებლად. კამეჩები წყალში ჩაიდნენ და რიყეზე გამოსვლას აღარ აპირებდნენ. კიკნაძემ ქვის სროლა დაუწყო, მაგრამ რადგან კამეჩები მაინც არ გამოვიდნენ, ცოტა წინ წაიწია წყალში. იმას პატარა ეგონა იქ წყალი და თურმე საქენზე მეტი კი ყოფილიყო. ფეხი ჩაუვარდა და წავიდა ძირს; რადგან ცურვა არ იცოდა, თავს ვერ უშველა და გამოეთხოვა წუთი-სოფელს. კიკნაძის გვამი იმავე დღეს წაასვენეს ნათესავებმა და ნაცნობებმა სურამისაკენ, სადაც მდებარეობს მისი სოფელი.

*** იქიდამვე გვაცნობებენ: 9 ივლისს ერთი „შავი-ქვის“ კაცი მოჰკლა ქართულის ურმის ხელამ (ყბამა). საქმე ამ ნაირად იყო: ორს ამხანაგს ერთად მოჰქონდათ ქვით დატვირთული ურმები; გზაში მოადგნენ თავდაღმართს. უკანა ურმის პატრონი თავის კამბეჩებს წინ მოუძღოდა. დაღმართზე ურემი დაქანდა და ეტაკა ამ კაცს შიგ მკერდში; დატაკებისათანავე ეს კაცი ხელამ მეორე ურემს მიარტყა საშინელის ძალით და მეურმემ იქავე სული განუტევა.

*** შორაპნის მაზრიდამ ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს: სოფ. ღარისხევს სწავლა-განათლების საქმე ხალხში ძრიელ სუსტად მიდის. მიზეზი რომ სკოლის უქონლობა იყოს, კიდევ ჯანი გაჰვარდნოდა ჩვენს ბედს. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ღარისხეველებს ზედ გვერდზე აკრავთ მთელი ორი სკოლა. ერთია სასოფლო და იმყოფება ხარაგაულის თემში, სოფლის კანცელარიასთან; მეორე სკოლა არის სამრევლო. შეგირდებიც საკმარისად დაიარებიან სკოლაში, მაგრამ ვაი იმ სიარულს. მათი მშობლები დღე-გამოშვებით თუ გაჰგზავნიან ბავშვებს სკოლაში, თორემ ამაზე ბეჯითად თითქმის ორი შეგირდიც ვერ ახერხებს სასწავლებელში სიარულსა, მშობელთა მომეტებული ნაწილი წაუხრის კისერს თავის შვილებს სამუშაოში და სულს ართმევს ხშირად ისეთს საქმეში, რომელსაც მუქთად მჰამელნი წევრნი ოჯახისა ადვილად გააკეთებდნენ. ბევრ გლეხისაგან გაიგონებთ ღარის-ხევში: „სწავლა რა ბუზად მინდა? შვილმა უნდა სახლისა და მინდვრის საქმე მიკეთოს, შემასვენოსო“. ამ სიტყვებს იმისთანა კაცებიც ამბობენ, რომლებსაც არა მარტო შვილის მოცილება შეუძლიანთ, არამედ თუნდა ათი და თუთხმეტი თუმანი რომ გადადონ წელიწადში მის სწავლებაზე, მაინც არაფერი გაუჭირდებათ. ასეთს გარემოებაში ერთი ის-ღა გვაიმედებს, რომ ამ ბოლოს დროს ძალიან დაუხშირეს სემინარიელებმა მღვდლად შედგომას. ეს ყოვლად სასიხარულო ამბავია, რადგან ნასწავლს მოძღვართ, უეჭველია, ექნებათ გავლენა ხალხის განათლებასა და მის კეთილ-დღეობის აღმატებაზედ.

*** გორიდამ გვწერენ: ბევრს უნდა ახსოვდეს, რომ წელს, თებერვლის 8-ს, კრივის დროს პოლიციის ჯარის-კაცი ალექსი კუდუხაშვილმა მოჰკლა 25 წლის აზნაური მიხეილ გარსევანაშვილი. ამ მკვლელობის გამო ტფილისის ოლქის სასამართლოს განკოფილებას სხდომა ჰქონდა ივლისს 10-ს ქ. გორში. მოწმებად გამოწვეულნი იყვნენ პოლიციის მოხელენი. სასამართლომ ოთხის წლის კატორგა გადუწყვიტა ბრალდებულს. ბრალდებულმა ამ გვარს განაჩენზე თვისი უკმაყოფილობა გამოაცხადა.

*** კავკავიდამ გვწერენ: ამ ივლისის პირველს, შუადღის შემდეგ, ოთხი საათი იქნებოდა, უეცრად შავი ღრუბლით შეიმოსა ცა და ამოვარდა საშინელი ქარი; ქარმა ერთი დაქრო-

---

ნებას აჰყვეს, თავის გული გადუშალოს ყველას! მალულობა, თავის გრძნობის მალვა საქებია ადამიანისათვის, თუ გასაკიცხი? ვხედავდი, რომ ვერდანი უბედური იყო, ერთის სიტყვით შემეძლო იმის დამშვიდება, იმ ლობის გადაქცევა, რომელიც ჩვენს ბედნიერებას წინ უდგა და ხელს უშლიდა, და ეს ერთი სიტყვა ვერ მეთქვა, ვერდანისათვის სახეზედ შეხედვა ვერ გამებედნა.

— მაშ ეგრე,—განაგრძო ვერდანიმ და ჩემს გვერდით ჩამოჯდა—მივწერ დედაჩემს, რომ მოვტყუვდი-მეთქი.

— დედათქვენს? დედათქვენი რა შუაშია...

— რა შუაშია!.. იმისთვის მივეჩქარებოდი ბოლონიოში, რომ მინდოდა ჩემს კეთილსა და ჭკვიანს დედას დავკითხებოდი, მელიარებინა იმისთვის ჩემის გულის პასუხი... დედაჩემს რომ არ ერჩია, ნება არ მოეცა, მე დავჩუმდებოდი და ხმის ამოღებას ვერ გავბედავდი, რადგან თავის დღეში არ ვიზამ იმას, რაც დედიჩემისათვის მოსაწონარი და სასიამოვნო არ იქნება... მაგრამ დედაჩემმა ჩემი სურვილი მოიწონა და ჩვეულებისამებრ მითხრა: „როგორც უნდა მოიქცე, დარწმუნებული ვარ, რომ შენ ცუდს არას იზამო და არ მოინდომებო; მეც მიყვარს ის, ვინც შენ გიყვარს; ყოველთვის ექმნება იმ ქალს ბინა ჩემს გულსა და ჩემს სახლშიო“...

გაზაფხულის ფურცელსავით მაკანკალებდა.

— პროფესორო...

— ნუ მეძახით პროფესორს,—სასტიკის ხმით წარმოსთქვა ვერდანიმ და ფეხზედ წამოდგა. შემდეგ ისევ განაგრძო ნელის ხმით: მეგობრები ყოველთვის „ვერდანის“ მეძახიან... „გუსტავს“.

მოუთმენელის ნაღვლით გაიქნია თავი და განაგრძო:

— თქვენ მართალი ხართ: აბა რას დამთანხმდებით, როდესაც კარგად არც-კი მიცნობთ. აგერ რამდენიმე თვეა ვცხოვრობ თქვენს მეზობლად და თქვენზე არც-კი ვფიქრობდი, გერიდებოდით კიდეც. შემდეგ მითხრეს, რომ საქართველოში წასვლა გადაგეწყვიტათ; ჩვენ გულ-ახდილად, გულწრფელად მოველაპარაკენით ერთმანეთს, და... აღარ ვიცი! რაღაცა დამემართა... ჩემს დღეში ასეთი არა მომსვლია-რა... ლექციებითა და სასწავლებლით აღარა კმაყოფილდებოდა ჩემი გული. მოუთმენლად ველოდი ხოლმე სადილობას, თქვენს ნახვას, თქვენთან დალაპარაკებას... სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ მე და ელენე ერთის ხასიათისანი ვართ-მეთქი; ისიც მორცხვია, თავ-დაჭერილი, მეც მორცხვი და თავ-დაჭერილი ვარ-მეთქი... თქვენ ისე განირჩევით სხვა ქალებისაგან, მეტადრე იმისთანა ქალებისაგან, რომელთაც თავის-მოწონება უყვართ, კეკლუცობენ და პრანჭიაობენ... მე რომ მდიდარი და შეძლებული ვყოფილიყავ, სინიორინა, დიდი ხანია თავს დავანებებდი ჩემს გაუბედაობას. ან და როგორ გამებედნა, როცა ვიცი, რომ ჯერ-ჯერობით ბევრით ვერაფრით დაგახარბებთ: ერთი უბრალო კაცი ვარ და გაჭირებით შემიძლიან თქვენი შენახვა... მაგრამ აი, მაინც, ხომ ჰხედავთ, გავბედე! თუმცა ჩემმა გაბედულობამ არაფერი მიშველა-რა და ყველა ჩემი იმედი სიზმარივით გაჰქრა...

ეხლა-კი ველარ მოვითმინე, მეც გავბედე! გავბედე და ვუთხარ, რომ თქვენს სიზმარს ჯერ არ ჩაუვლია, სიზმარი ხშირად ახდება ხოლმე-მეთქი. ჩემი ერთად-ერთი სურვილი და ნატვრაც ეგ იყო, მეც მიყვარხართ...

ვერდანი გადამეხვია და, მგონი ამას ამბობდა:

— ჩემო ელენე, ჩემო სიცოცხლევო...

გონებაზედ მოვედი:

— ოდოარდო? ჩემი ძმა? ოდოარდომ ხომ ფულიც გამომიგზავნა საქართველოში წასასვლელად!

— შენი ძმაა? დეპეშას გავუგზავნით, რომ ველარ წახვალ. შემდეგ წერილებს მისწერთ ერთმანეთს, აუხსნით საქმის გარემოებას. ბევრი ხანია მარტოკა ცხოვრობს და ამის შემდეგაც იცხოვრებს უშენოდ... და ფული-კი—თუ თავისი ფული უკანვე გთხოვა და პირის-სანახავად არ გითავაზა,—მეც მომეპოვება ერთი-ორიოდე გროში, ავიღებ და გავუგზავნი, ვითომ ჩემის საცოლოსათვის საჩუქარი მიყიდნია რამე.

გუსტავემა სინიორა ჩელესტას დაუძახა და გამოუცხადა, რომ სინიორინა ელენე დღეიდგან ჩემი საცოლოაო. ჩელესტას სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, კისერზედ ჩამომეხლაუჭა და კვეხულობდა, რომ თქვენი ბედნიერება ჩემი უნარიაო:

— თავის დღეში არ დავთანხმდებოდი, რომ იმისთანა მშვენიერი კაცი, როგორიც პროფესორია, სულელს ჯულიას შეერთო! როგორ შეიძლებოდაო!..

იმავე დღეს, საღამო ხანზედ, გუსტავს რაღაცა დანაღვლიანება შევატყე. მიზეზი ვკითხე.

პროფესორმა ნაღვლიანად მიპასუხა:

— მაშ ნამდვილად გადასწყვიტე, ელენე, რომ მომთხოვდე? დარწმუნებული ხარ, რომ მერე სანანურად არ გაგიხდება?

— ოჰ, გუსტავ...

— იქნება სიჩქარით... ხშირად მოსტყუვდება ხოლმე ადამიანი. იქნება დღეს შეგიყვარდი მხოლოდ და შენ-კი ისე წარმოიდგინე, ვითომ დიდი ხანია გყვარებოდე. . თუ მართლა ასეა, თუ მოტყუებულხარ, სცდები .. მაშინ.

არა ვუთხარი-რა, ვანიშნე, პატარა დამიცადე-მეთქი, შეველ ჩემს ოთახში, გამოვიტანე ეს ალბომი და წინ დავუდე.

ვერდანის ვერა გაეგო-რა და გაოცებით მიყურებდა.

— ჩემი ალბომია,—ვუთხარ მე: — წაიღე და წაიკითხე, როცა დრო გქონდეს, ხოლო ეხლა-კი არა... ნურც-კი დაჰხედავ ეხლა...

ამასობაში გუსტავი ჰფურცლავდა კიდეც ალბომსა.

— დღიურსა ჰგავს, რაღაც...

— დიაღ, სწორედ დღიური გახლავთ.

— შენის საკუთარის ხელით არის ნაწერი?

— საკუთარის ხელით... მაგრამ გთხოვ, ეხლა ნუ წაიკითხავ... მერე, როცა მე აქ არ ვიქნები...

გუსტავი დამეთანხმა და ხელი აღარ უხლია ალბომისათვის.

დილაზე გახარებული შემომიჯარდა.

— ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო ელენევ... ეხლა-კი აღარა ვეჭვობ, დარწმუნებული ვარ! ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნოა, როცა გაიგებს ადამიანი: ამა-და-ამ ქალს მაშინ ვყვარებივარ კიდეც, როცა მე ჯერ ფიქრადაც არ გამეტარებინა იმის სიყვარულიო!

მე ვიცინოდი. გუსტავმა ნაზად მომხვია ხელები.

— ეხლა ეპილოგი უნდა დასწერო, თორემ დღიურს ბოლო არა აქვს.

— რა საჭიროა?—ვუპასუხე მე.—დღიურს მაშინა ვწერდი, როცა უბედური ვიყავ, განმარტოვებული, ეხლა-კი..

— არა, არა,—ქინიანობდა გუსტავი:—უთუოდ უნდა დააბოლოვო ეგ დღიური. სიტყვა მომეც, რომ დააბოლოვებ.

დავპირდი, მაგრამ დრო ვერ ჩამეხელებინა, რომ წერა დამეწყო; ერთხელ გუსტავმა ალერსიანად თითი დამიქნია და მისაყვედურა.

— მგონი, შენ დღიურს ვერასოდეს ვერ გაათავებ. აგრე იზამ, გადასდებ-გადასდებ და ბოლოს სულ თავსაც დაანებებ. თუ გინდა დაგენაძლავები, რომ ეხლავე ნახევარი დავიწყებული გაქვს იმისი, რაც დღიურში არა გაქვს ჩაწერილი.

— ნუ დამენაძლავები, წავაგებ-მეთქი, ვუპასუხე.

მივეცემ ამ ფურცლებს წასაკითხად და დამეთანხმება გუსტავი, რომ სანაძლეო წააგო. დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი არც დამვიწყებია და არც მეტი ჩამიწერია. ჩემს უბრალო მატიანეს ერთად-ერთი ღირსება აქვს და ეს ერთად-ერთი ღირსება ის არის, რომ თავიდგან ბოლომდე, პირველის ფურცლიდგან უკანასკნელამდე გულწრფელად, გულ-ახდილად არის დაწერილი.

ორ-ანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეით სოფ. ხუმელაგასა, ყაყადურსა და მრავალ სხვა სოფლებში სულ დალეწა ხეხილები, ალვის ხეები და სხვანი. რაც დაუმტვრეველი გადარჩა, სულ გააყრევინა მსხმოიარე ხილი. ჩალით დახურვილ სახლებს სულ აჰგლიჯა თავები და სახლების საფარებელ ჩალას ჰაერში ანიავებდა; სახლების კრამიტებს სულ ლაწა-ლუწი გაუდიოდა. ქარი მალე ჩადგა, თორემ ერთი სამი წამი რომ ყოფილიყო კიდევ, ბევრს საცოდაობას დაატრიალებდა. ქარს მოჰყვა საშინელი შხაპუნა წვიმა. სეტყვაც გამოერია. სეტყვამ სოფ. ყაყადური დასეტყვა. ბაყლები და კინტოები, რომელნიც ვაჭრობენ კავკავში და მინდვრის ოსთა სოფლებში, ხეხილის ბაღები ჰქონდათ ნაყიდი ყვაველშივე,—მეორე-მესამე დღეს დადიოდნენ სოფლებში და თითქმის ტიროდნენ: „დავიღუპენით, წინდაწინვე ფული მიცემული გვქონდა ბაღებში და ეხლა ხელი დაგვაბანინა ქარმა უდროვოდროსა და აღარ ვიცით რაღა ვქნათო“.

*** სამწუხარო ამბავი ამოვიკითხეთ გაზეთს „Каспій“-ში და მოგვყავს მეტადრე იმერთა საყურადღებოდ. „ერთის წლის წინად ბაქოში გადმოსახლდა ნაფიცი ვექილი გლოკკე, ცოლით და ოთხის პატარა შვილით. იყო თავისთვის წყნარად, იშვიათად გამოდიოდა საზოგადოებაში და პრაქტიკაც ცოტა ჰქონდა, ასე რომ თავის თავს და ოჯახობას ინახავდა ძრიელ ღარიბად. ამ უკანასკნელ ხანებში წავიდა იმიერ-კასპიის მხარეს, სადაც გამოუჩნდა რაღაც ათ-თუმნიანი პრაქტიკა. იქ გაცივდა, გახდა ავად და რამდენსამე დღეზე კიდეც გარდაიცვალა. ეხლა მისი ქვრივი მცირე-წლოვანის შვილებით დარჩა უიმედო ყოფაში და გზის ფულიც არა აქვს, რომ წავიდეს თავის სამშობლოს, იმერეთშიო“. ჩვენს საზოგადოებას ეცოდინება, რომ განსვენებულის გლოკკეს ცოლი გურული ქალია. ქვრივის გლოკკეს ადრესიცა სწერია „Каспій“-ში: ბაქო, ტოლსტიხინის სახლი, საგუბერნიო სამმართველოს პირ-და-პირ.

## ქართულ-სომხური წარმოდგენა.

კვირას, 12 ივლისს, ჩვეულებისამებრ საკომერციო კლუბის საზაფხულო სადგომში, ვასილიევის ბაღში, ქართულ-სომხური წარმოდგენა იყო ამ ორივე დასთა არტისტების მიერ გამართული. ქართულად წარმოადგინეს რ. ერისთავის ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ და ერთი სცენა შილლერის «ავაზაკები»-ს მე-5 მოქმედებიდამ; სომხურად — ბ-ნ ტერგრიგორიანის ვოდევილი „ესეც შენი მოციქულობა“ და ვოდევილივე ბ-ნ სუნდუკიანისა „სადამოს ერთი ცხვირი—ხეირია“. ამ პიესების ბოლოს გაჰმართეს „ცოცხალი სურათები“. არტისტებს გარდა ქართულ-სომხურ წარმოდგენაში სცენის-მოყვარენიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართულმა წარმოდგენამ უფრო ცუდად ჩაიარა, ვიდრე უწინ. არტისტებს, როგორც ეტყობოდათ, ბახუსის თაყვანის-ცემაში გაეტარებინათ მთელი წარმოდგენის დღე და ამიტომ თამაშობის თავი აღარა ჰქონდათ. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მშვენიერი ცოცხალი ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ ერთიანად გააფუჭეს. ვისაც თამაშობა შეეძლო, იმას თავი არა ჰქონდა, და ვისაც არა—ის თუნდა ყოფილიყო ფხიზელი და თუნდა არა. ქ. ბაგატელლასათვის ისეთი როლი მიეცათ, რომლის ასრულებისათვის არც ღონე შესწევდა, არც ცოდნა-გამოცდილება და არც ნიჭი. საზოგადოდ, ქართულის სცენის რეპერტუარის ერთი მშვენიერ ვოდევილთაგანი—„ბიძიასთან გამოხუმრება“ ძალიან, ძალიან სუსტად ჩაატარეს.

ერთი სურათი შილლერის „ავაზაკები“-ს მე-5 მოქმედებიდამ კარგად ჩაივლიდა, რომ ამასაც ფათერაკი არ დამართოდა. ამ სცენაში ორი მომქმედი პირია, ფრანც-მოორი და დანიელი. დანიელი სცენაზედ რაღაც ნაირად იგრიხ-იმანჯებოდა, როდესაც ეს სრულიად საჭირო არ იყო. ფრანც-მოორმა-კი თუმცა კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლოს, როცა თავი უნდა დაირჩოს ბენგალის ცეცხლით განათებულს სცენაზედ, ბენგალის ცეცხლი არ აუნთეს, გაბრაზებული არტისტი თავ-დაურჩობლად გავარდა სცენიდგან და ფარდა ჩამოუშვეს. ასე რომ ეს ერთი სცენა შილლერის პიესიდგან კუდმოგლეჯილი დარჩა და თოფების სროლის ხმითა და სცენის უკან ბრახუნ-ყიჟინით გამოყრუებულმა საზოგადოებამ ვერა გაიგო-რა, რა იყო და რა უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ იმისთანა პიესები, როგორც შილლერის „ავაზაკები“-ა, თუნდა ერთი სურათიც იყოს, სრულიად არ უნდა დაენიშნათ წარმოსადგენად და ამ მხრივ დიდი შეცდომა მოსვლიათ არტისტებს. ამისთანა ნაწარმოების წარმოდგენას არც ადგილი შეეფერებოდა და არც დრო. პირ-იქით, უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება ადვილად წარმოსადგენი და ცოცხალი ვოდევილები დაჰნიშნონ ხოლმე, თუ სურთ, რომ საზოგადოება მიიზიდონ და დრო სასიამოვნოდ გაატარებინონ.

„ცოცხალი სურათები“ ლამაზად იყო დადგმული და ძალიანაც მოეწონა საზოგადოებას. „ცოცხალ სურათებამდე“ ბ-ნმა ტყვიაველმა რამდენიმე იმერული სცენა წაიკითხა, რომელიც ისე მოეწონათ, რომ რამდენჯერმე გამოიხმეს არტისტი და გაამეორებინეს სცენების თქმა. საზოგადოება ბევრი დაესწრო წარმოდგენას.

სომხის არტისტები უფრო მწყობრად თამაშობდნენ და ეტყობოდათ, რომ უფრო კეთილ-სინიდისიერად მოჰქცეოდნენ თავის მოვალეობას. ორივე ვოდევილი ცოცხლად ჩაატარეს და ასიამოვნეს კიდეც საზოგადოებას, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენაზე ქართველობა უფრო მეტი დაესწრო, ვიდრე სომხობა.

ა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში, პარიჟის საექიმო აკადემიაში პროფესორს პეტერს წარმოუთქვამს სიტყვა იმის შესახებ, თუ რა შედეგი აქვს მოსწავლეთა ტვინის დაღლას. ყმაწვილები იღლებიან იმიტომ, ამბობს პატივცემული პროფესორი, რომ სკოლების პროგრამების შემდგენელნი სრულიად ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ძალ-ღონესაო. მოსწავლეთა უმეტესობას საშუალო ნიჭი აქვს, ძლიერ ნიჭიერნი და სრულიად უნიჭონი-კი შეადგენენ სულ მცირედს ნაწილს მოწაფეთა მთელის რიცხვისას. ნიჭიერი ყმაწვილები ადვილად შეისწავლიან ხოლმე იმას, რასაც-კი პროგრამმა თხოულობს, რადგანაც იმათს ჭკუასა და გონებას დიდი ღონე აქვს და დიდის ღონისათვის შესაფერი მუშაობაა საჭირო. მოსწავლენი სრულიად ვერაფერსა სწავლობენ, საშუალო ნიჭის ყმაწვილებს პროგრამის მოთხოვნილების აღსრულება ძლიერ უჭირდებათ. ამისათვის სკოლების პროგრამები უნდა შეიცვალოს. როდესაც ყმაწვილს ბევრი მუშაობა დააწვება, მაშინ იგი იღლება, ითენთქვება და მისი ტვინიც სუსტდება და უძლურდებაო.

ამ გვარი მდგომარეობა გამოიწვევს, ამბობს ბ-ნი პეტერი, თავის ტვინლს, ჭკუისა და გონების უძლურებას. ყმაწვილი ვეღარ უძლებს გონებითს მუშაობას, თავის ტვინლი კვნესაა დაღლილ-დაქანცულის ორგანისა, რომელიც შესვენებას ითხოვს. თუ კაცმა ამ კვნესას ყური არ ათხოვა, გონება მოსპობს თავის მუშაობას.

დაღლისაგან ყმაწვილებს ხანდისხან ფიქრები აერევათ, საგნების ნათლად გაგების ნიჭი ეკარგებათ. თუ ამ გვარად ავადმყოფს თავის დროზე კაცმა არ უწამლა, მაშინ მოსწავლეს ცხვირიდამ სისხლის დენა აუტყდება, შემდეგ აცივებს და იქნება სახადადაც და ანუ სხვა სნეულობად გადაექცეს. პატივცემული პროფესორი დიდს მნიშვნელობას აძლევს სკოლის ჰიგიენას. სკოლების გაფუჭებული და დამდგარი ჰაერი ძლიერ მავნებელია მოსწავლეთათვისაო.

როდესაც ყმაწვილი ამ გვარის ჰაერით დიდს ხანსა სუნთქავს, მაშინ შეუძლებელია, რომ მან ფილტვების ავადმყოფობა არ შეიძინოს, რომელსაც ხელს უწყობს მისის ნერვების უმეტესად დაღლა.

ყველაზე ხშირად ყმაწვილებს ხიქლემე უჩნდებათ ამ გაფუჭებულ ჰაერის გამო და ამით ამტკიცებენ ეხლანდელის სკოლების წეს-წყობილების უვარგისობას. ბევრჯელ სიქლემე უვარდებათ გულში იმ ყმაწვილებს, რომელთა ოჯახებშიაც თავის დღეში ეს საშინელი სენი არავისა სჭირებია. საფრთხე წინ გვიდგა. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ახალგაზდობა სიყრმითვე არ დავჩაგროთ.

ამ უკანასკნელის აზრის განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ სკოლის ჰიგიენის გაუკეთესება და პროგრამის განთავისუფლება იმ გვარის მეცნიერებათაგან, რომელნიც არც გონებრივის და არც ზნეობრივის განვითარებისათვის დიდს განძს არ შეადგენენ.

**

გაზ. „Новости“-სა სწყინს, რომ გენერალი ბულანჟე ძრიელ უყვარს საფრანგეთის ერს და აგრე აღტაცებით ეგებება იმის წასვლა-მოსვლას. გაზეთი ამბობს:

ჩვენის აზრით, სასქებურად არ უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის ზოგიერთა მოღვაწეთა საქციელი, რომელთაც გენერალი ბულანჟე გაალმერთეს და თავიანთ უადგილო მანიფესტაციებით სახელს უძლიერებენ იმ სახელმწიფო კაცსა, რომელიც საფრანგეთის ერის წინაშე უფრო ცოტად დამსახურებულია, ვიდრე ბევრი სხვა.

მართალია, საფრანგეთი ბევრ გვარს გაჭირებაშია, მაგრამ იმას

ვერც გენერალი ბულანჟე და ვერც უფრო გამოცდილი და ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე ვერას უშველის. საფრანგეთის ერი შეძლებისამებრ მაინც უნდა სცდილობდეს თავის გაჭირვებულ მდგომარეობის შესუსტებას, რაკი სრული აცილება შეუძლებელია. რაც შეეხება საფრანგეთის სამზღვრების დაცვას, ჩვენ გვსურვებთ, რომ გენერალმა ბულანჟემ ცოტა იყვიროს და უჩუმრად, ბეჯითად და სინიდისიანად აასრულოს თავისი მოვალეობა, როგორც სამხედრო მინისტრმა ანუ კორპუსის უფროსმა. საერთა-შორისო მდგომარეობა საფრანგეთისა დამოკიდებული არ არის რომელსამე მოღვაწეზე და ცხადია, რომ იმის პოლიტიკას ორი გზა არ უნდა ჰქონდეს. დაახლოვებული კავშირი რუსეთთან გერმანიის წინაალმდეგ მოქმედებისათვის წარმოადგენს იმ გზას, რომლიდამაც საფრანგეთი არ უნდა გადადგეს.

იქნება პატივცემულის გაზეთის მოსაზრება მართალი იყოს საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, მაგრამ როდესაც მთელი ქვეყანა გაჭირებაშია, მაშინ ხალხის გმირნი ძლიერ საჭირონი არიან. ხალხის გმირისათვის გენიოსის ჭკუაზე უფრო საჭიროა გულ-წრფელად თავის გაწირვა ქვეყნის ინტერესის დასაცველად.

## უცხოეთი

**ინგლისი და ოსმალეთი.** ინგლისის ელჩის დრუმონდ-ვოლფის სტამბოლიდამ წასვლის წინად მოხდა ერთი გარემოება, რომელმაც თითქმის სრულიად მოუსპო ინგლისს იმედი კონვენციის დამტკიცებისა სულთანის მიერ. როგორც ერთი უცხოეთის გაზეთი სწანს, რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა დაარწმუნა სულთანი, რომ რუსეთი არას გზით არ დასთანხმდება იმასა, რომ ეგვიპტე შეიქმნას ბრიტანიის პროვინციად და თუ, ვინიცობაა, რუსეთს პატივი არა სცა სულთანმა და დაამტკიცა კონვენცია, მაშინ რუსეთი იმ წამსვე დაიჭერს სომხეთსაო. ამის შემდეგ საფრანგეთის ელჩმა მონტებელლომ გააფრთხილა სულთანი, რომ საფრანგეთი ვერას გზით ვერ იყაბულებს ინგლისის დამკვიდრებას ეგვიპტეში და და თუ კონვენცია დამტკიცდა, მაშინ იგი დაიჭერს სირიას, რადგანაც საფრანგეთის ინტერესებისათვის იმდენად საჭიროა სირია, რამდენადაც ინგლისისათვის ეგვიპტე. ამ გვარ გაფრთხილებათა ძლიერ იმოქმედეს სტამბოლში და, როგორც ამბობენ, კონვენცია დამტკიცებული არ იქმნებაო.

ერთი უცხოელი გაზეთი გვატყობინებს, ვითომ სტამბოლში ის აზრი იყოს გავრცელებული, რომ კრიტში ამბოხება ინგლისმა გამოიწვია, რადგანაც ინგლისსა სურს ხმელთა-შუა ზღვაშიაც იქონიოს მკვიდრი ნიადაგიო. ამის შემდეგ სულთანმა გაგზავნა კანეაში ახმეტ-რატიბ ფაშა, რათა ამ უკანასკნელმა გაამაგროს კუნძული და ინგლისის ჯარები არ შეუშვას. ოსმალეთს ეშინიან, კრიტი ხელიდამ არ წამავიდესო და ამიტომაც იგი ძალიან ფაქიზად და თავაზიანად ეპყრობა კრიტის კრების წარმომადგენელთ მოლაპარაკების დროს. ეს ორი მძიმე საგანი, ე. ი. ბოლგარიის საქმე და კონვენციისა, თვალ-წინა აქვთ ევროპის სახელმწიფოთა და მათს გადაწყვეტას როდის მოვესწრობით, ეს ღმერთმან იცის. ამ ორ საქმეთა ერთმანერთის შორის მჭიდრო კავშირი აქვთ და ამიტომაც ერთის გარდაწყვეტა ასე თუ ისე იმოქმედებს მეორეზე, რადგანაც ორთავეში მონაწილეობა აქვთ ერთსა და იმავე სახელმწიფოთა. თუ სულთანმა ყური ათხოვა საფრანგეთისა და რუსეთის აზრსა და სურვილს, მაშინ ინგლისი იძულებული იქმნება ეგვიპტეს თავი დაანებოს, მაგრამ სადა იქნება, სამაგიეროს აიღებს და თავის მოკავშირეების გზას გადაეღობება, როცა შემთხვევა ხელს მისცემს.

**ბოლგარია.** სახელმწიფოები იმავე აზრზე სდგანან ბოლგარიის საქმის შესახებ, რა აზრზედაც დღემდის იდგნენ და საქმეთა გარემოებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა ამ უკანასკნელს ხანში. ბერლინიდამ სწერენ გაზეთ „Neue Freie Presse“-ს: მოსალოდნელი არ არის, რომ რუსეთმა თვისი აზრი შესცვალოს ბოლგარიის საქმეზე; პეტერბურგის კაბინეტი არას გზით არ დასთანხმდება ფერდინანდ კობურგის მთავრად ამორჩევაზე. საფრანგეთიც რუსეთის კვალზე გაივლის ამ საქმეშიო. სხვა სახელმწიფოები, გერმანიის გარდა, არ უარჰყოფენ კობურგის ამორჩევას, მაგრამ რადგანაც ბერლინის ტრაქტატის ძალით საჭიროა ყველა სახელმწიფოთა თანხმობა, ამიტომაც ოსმალეთი ვერ დაამტკიცებს ბოლგარიის საერო კრების გადაწყვეტილებასაო.

გაზ. „Fremdenbl.“-ს აცნობებენ დეპეშით, ვითომ ბუხარესტში შეკრებილიყვნენ ბოლგარიის ემიგრანტები, რომლებიც ამ უკანასკნელს ხანში ძალიან გულ-მოდგინედ მოქმედობენ და ჰქადაგობენ. ამ ამბავს ძალიან აუშფოთებია და შეუშინებია საზოგადოება სოფიაში. სარეგენტოს მახლობელს წრეებში იმ აზრისანი არიან, ვითომ ემიგრანტებს განზრახვა აქვთ ბოლგარიაში უეცრივ შევიდნენ და ამბოხება მოახდინონო. სარეგენტომ, თუმცა არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს ამ ხმებს, სხვა-და-სხვა განკარგულება მოახდინა, რათა რუმინიის მხრით ემიგრანტები არ შემოცვივდნენ ბოლგარიაშიო.

**საფრანგეთი.** როგორც წინა წლებში, ისე წელსაც „პატრიოტთა საზოგადოების“ გამგებელმა კომიტეტმა მოიწვია საზოგადოების წევრნი, რათა მონაწილეობა მიიღონ საპატრიოტო მანიფესტაციაში ელზასისა და ლოტარინგის მოსაგონებლად

დილის რვა საათიდამ წევრთა და მრავალ სხვა საზოგადოებათა იწყეს თავის მოყრა დანიშნულს ადგილს რკინის-გზის აღმოსავლეთის სადგურთან.

დერულედი მოვიდა ცხრა საათზე, დაიარა ყველანი და სთხოვა საზოგადოების წევრთა მშვიდობიანობა და საჩუმე დაეცვათ.

საჭირო არ არის იძახოთ: „საფრანგეთს გაუმარჯოს!“-ო, ეუბნებოდა დერულედი. ჩვენი მანიფესტაცია დარბაისულის თვისებისა უნდა იყოს. უკანასკნელნი გარემოებანი საკმაოდ გამოსატყულნი არიან და სრულიადაც საჭირო არ არის ჩვენი პატრიოტობა ძახილით და ხმაურობით გამოვსთქვათ. მეათე საათის ოცი წუთი იყო, როცა მთელი კრება დაადგა ქუჩას; თვითოეულს საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ბაირაღი და გვირგვინი ჩამორთმეულ პროვინციების პატივის საცემლად. პროცესიამ გაიარა სტრასბურგისა და სხვა ბულვრები, გაიარა მაგდალინას მოედანი და სამეფო ქუჩა და გავიდა სრულიად წესიერად „თანხმობის“ მოედანზე. გამვლელ-გამომვლელნი მაინც-და-მაინც დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ პროცესიას და მხოლოდ აქა-იქ ისმოდა ძახილი: «საფრანგეთს გაუმარჯოს» „დერულედს გაუმარჯოს!“-ო. თვით მოედანზე მდაბალის ხმით იძახოდნენ: „ბულანჟეს გაუმარჯოს!“-ო. პროცესსიამ გაიარა სტრასბურგის ლუსკუმის წინ და მის წინაშე დააწყო ყველა ბაირაღები და გვირგვინები. სიტყვა არავის არ წარმოუთქვამს. ვიღაცას გაუკვირდა, რომ მანიფესტაცია ეგრე მშვიდობიანიაო. დერულედმა უპასუხა: მე მსურს, რომ მანიფესტაცია ჩუმი და წესიერი იყოს და ამით ვუჩვენოთ ქვეყანას, რომ „პატრი-

ოტთა საზოგადოებას“, ვითარცა საფრანგეთის ერს, შეუძლიან ღირსად ჩაითვალოს.

ქლეზას-ლორენელებმა, რომლებიც უცხოეთის ჯარში მსახურობენ, მოიტანეს დიდი გვირგვინი. დერულედმა დასჭრა იგინი და უთხრა: «თქვენ გკუთვნით საფრანგეთის დიდს ერს, თუმცა იძულებით უცხოეთის ჯარის-კაცებად; სხვებზე უფრო ამტკიცებთ, რომ თქვენა ხართ ნამდვილი ფრანგებიო»...

შემდეგ თვითოეული „საზოგადოება“ მივიდა იოანნა დ'არკის ღუსკუმასთან და იმას ქვეშ დასდო დიდი სამ-ფეროვანი გვირგვინი; დერულედმა ყველას თავი დაუკრა და ხალხი დაიშალა, რომელთაც შორონასამებრ თავი უნდა მოეყარონ ბულონის ტყეში.

## წვრილი ამბები

— ბომბეიში გარდაცვლილა ერთი ვეფხვის მონადირე, სახელად ჭორმუჯე ჰდულჯი კოტვალი. ამ უბედურს და გამბედავს მონადირეს მას შემდეგ რაც ნადირობს ასზედ მეტი ვეფხვი მოუკლავს ისე, რომ არც ერთხელ არ დაჭრილა ამ ნადირისაგან. ამ აპრილში მამაცს ჭორმუჯეს ჯიქზე, ვეფხვის მზგავსი ცხოველი, უნადირნია და ტყეის თათში მოურტყავს; ამის გამოგაზრაზებული ნადირი მიჭკარდნია მონადირეს და ისე დაუგლეჯნია, რომ ცოცხალ-მკვდარი მოუტანიათ შინ ჭორმუჯე. უბედურს მონადირეს მოჩნენას ბევრსა ცდილან სხვა-და-სხვა ექიმები და დოსტაქრები, ხელიც-კი მოუჭრიათ, მაგრამ ვერ აუტანია და გარდაცვლილა.

— კასტლკომერში (ირლანდია) შემდეგი საკვირველი მოვლენა ყოფილა. დღის ოთხს საათზედ ცაზედ შავი ღრუბელი გამოჩენილა, რამდენჯერმე დაუქუხნია ცას და წამოსულა შავი წვიმა, ისეთი შავი, რომ გარედ მოსიარულეთა ტანისამოსი გაუშავებია. მინდორზე მოფენილი ძროხები ბლავილით აქედ-იქით აწყდებოდნენ თურმე, ძაღლები დარბოდნენ და შესაბრალისად ღმუოდნენ. ამ შავს მიწას მთელის კასტლკომერის წყლები და მდინარეები შეუღებავს შავად ისე, რომ აღარ დაილევა თურმე.

— ახალის გამოკვლევით აღმოუჩენიათ, რომ საფრანგეთის „მარსელიეზა“-ს მუსიკა დაუწერია არა რუჟე-დე-ლილეს, არამედ გრიზონს, რომელიც 1775—1787 წლამდე სენტ-ომერის სობოროს მეორღანე ყოფილა. ახლა დარწმუნებით შეუტყვიათ, ვისი დაწერილიც არის „მარსელიეზა“. არტურ ლოტს წიგნი გამოუცია „Le Chant de la Marsaillaise et son veritable avteur“-ი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მარსელიეზა“ გრიზონის დაწერილია და ამის დამამტკიცებელი საბუთებიც არის მოყვანილი.

## გასართობი

**მიწის-ძვრის მიზეზი.** აი გარეული და ნადირი ხალხი რას ასახელებს მიწისძვრის მიზეზად: ქვეყნის დაარსების დროს, როცა მთელი დედა-მიწა წყლით იყო მოცული, ჰაერი ფრინველებით იყო სავსე. წყლებში დასცურამდნენ სხვა-და-სხვა ჯიშისა და ჯურის თევზები. ერთხელ ციდგან რალაცა ჩამოეშვა ნელ-ნელა ზღვისაკენ; ეს ერთი დიდად მშვენიერი ქალი იყო. დიდრონი იხვები მაშინვე შეიკრიბნენ ერთად, არჩიეს, იბაასეს, ილაპარაკეს ბევრი ამ ამბავზე და ბოლოს გადასწყვიტეს: მივეგებნეთ ყველანი ამ საოცარს ქმნილებას და ვეცადნეთ, რომ დაღუპვას გადავარჩინოთო. აფრინდნენ იხვები, ფრთა-ფრთას მჭიდროდ მიაწყეს და ზედ შეისვეს ქალი. სად წაეყვანათ? საწყალი იხვები წუთით-წუთზე იღლებოდნენ და ეშინოდათ, ვაითუ ქალი ვეღარ დავიმაგროთ და წყალში ჩაგვივარდესო. ამ დროს ზღვიდგან ამოვიდა უშველებელი კუ, მთელის კუნძულის ოდენა. კუმ უთხრა იხვებს: ჩემს ზურგზე დასვით ეგ მშვენიერი არსებაო, და იხვებიც ისე მოიქცნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ქალს ტყუპი ეყოლა. ერთი კეთილი სული იყო, რომელიც სიმინდისა, ხილისა და თამბაქოს მოსვლას ხელს უმართავს ქვეყნად და მეორე—ბოროტი, რომელიც ქია-ღუას აჩენს. აი როცა ეს კუ დაიღლება და შეინძრევა, მიწაც მაშინ იძვრის ხოლმე.

**

**ახირებული მიზეზი უთანხმოებისა ხაცოლ-საქმროს შორის.** ამ რამდენისამე ხნის წინად ლიონში ერთის ოჯახობის სასარგებლოდ გამართული იყო საჯარო ხმალში გასვლა. ამ ხმალში გასვლაზედ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო თურმე. ლიონის მებრძოლნი ცდილობდნენ თითონ გაემარჯვნათ. ყველაზედ მშვენივრად ხმალს ერთი ახალგაზდა ჩვიდმეტის წლის ქალი, ბლანში დრიკო, ხმარობდა თურმე; ამ ქალს ერთს გამოჩენილს მებრძოლთან უბრძოლია და ისე კარგად, რომ პირველი საჩუქარი ამას მიუღია. სალამოზედ ლხინი გაუმართავთ, სადაც ყველაზედ პირველი ადგილი სჭერია ბლანშ დრიკოს და ძალიან მხიარულიცა ყოფილა. ამ დროს ამ ქალისათვის გადაუციათ ერთი ბარათი, რომლის წაკითხვისათანავე ბლანში გულ-წასული დაცემულა იატაკზედ. ეს ბარათი ქალისათვის მოუწერია მის საქმროს, ვექილს მუშეს და შემდეგის შინაარსისა ყოფილა:

„მშვიდობით, დღეს სალამოზედ მივდივარ პარიჟში ისეთის საცოლოს საძებნელად, რომელმაც ისეთივე მარჯვე ხმარება უნდა იცოდეს ნემსისა, როგორც შენ ხმალსა ჰხმარობ“.

## დეპეშა

12 ივლისი

ლონდონი. დღესასწაულობა დედოფლის იუბილეისა იმით დასრულდა, რომ ფლოტი დაათვალიერეს სპიდხედის რეიდზე: სულ დაათვალიერეს 130 გემი და ამ დათვალიერებას მოანდომეს სამი საათი.

დუბლინი. იმ იდუმალ რჩევის სხდომაზე, რომელიც შესდგა შაბათს, დადგენილ-იქმნა, რომ კორკისა, კერრისა, ლაიმონიკისა და კლერის საგრაფოებში უნდა შემოიღონ განსაკუთრებითი კანონები.

პორტ-სმუტი. გუშინ ფლოტის დათვალიერების დროს საკანონირო გემს კიდზე იფეთქა თოფის წამალმა და დაიჭრა 4 კაცი.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ საცდელს მობილიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ქვეითის კორპუსების ნაწილები, რომელთა შტაბ-სადგურები იმყოფებიან რენსა, ნანტსა და ლიმოჟში.

13 ივლისი

მერვი. აქ მოვიდა ბუხარიდგან სამარყანდამდე რკინის-გზის გამყვანი, გენერალი ანნენკოვი.

ბაქო. 12 ივლისს. ბალახანებში მეორე დღეა იწვის მარკოვის დიდი ნავთის შადრევანი, რომელიდამაც 250,000 ფუთი ნავთი ამოდიოდა, დაიწვა რამდენიმე სახურავი „კასპიის ამხანაგობი“-სა და სხვანი, და აგრეთვე ბოლაზი ნავთისა, რომელშიაც ერთ მილიონამდე ნავთი იყო. ამოვარდა ჩრდილოეთის ქარი. ძალიანა შიშობენ, ვაი თუ ცეცხლი უფრო მეტად გაძლიერდესო.

პარიჟი. საცდელად ჯარის სამხედრო ფეხზედ დაყენებაში მონაწილეობას მიიღებს, მხოლოდ ის ერთი ქვეითა-ჯარის კორპუსი, რომელიც გუშინდელს დეპეშაში იყო მოხსენებული.

### პეტერბურგის ბირჟა, 10-ს ივლისს
### ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $181^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 260 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 99 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | $83^3/_4$ | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნა დები—14.

მკათათვე 31 დღით არის

**14 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. აკვილასი. კათოლ. იუსტინასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—8, ჩადის 7—24. მთვარე 7 დღისაა.

**15 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოწ. კვირიკესი და იულიტასი. კათოლ. ჰენრიხისა და ანუელინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23. მთვარე 8 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი
**ნიხრი**

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელა პური 1-ის ხარისხისა . | 3 » |
| » 2 » | $2^1/_2$ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 » |
| » » 2— | $3^1/_2$ » |
| » » 3 » | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 » |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 » |
| მე-2 ხარისხისა . . | » » |
| მე-3 — . . . | 7 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 » |
| » 2 » | 13 » |
| სუკი. . . . | 8 » |
| ცხვრის ხორცი . . . | » » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » » |
| » 2 » | » » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთ, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიისნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჩნის რამე ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსია და მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჯორჯიკია

(6—1)

გამოვიდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:

**ციცინათელა**

საყმაწვილო ამბები,

შედგენილი და გამოცემული ა. იანქოშვილისაგან.

**ფასი ხუთი შაური.**

ვინც თხუთმეტს ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, იმას 20 კაპ. დაეთმობა თითო წიგნი. (2—1)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

**საქართველოს მოკლე ისტორია**

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**

ფასი 45 კაპ.

**მერცხალი**

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

**ფასი 1 მან. 25 კაპ.**

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასა, გზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

# შავი სიტყვა

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შაქერდოევების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,

Дозв. цен. Тиф. 13 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე